## თვითმმართველი თემი

## თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება № 16

„30“ მარტი 2016 წელი

### თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 მარტის №25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ივლისის №73 განკარგულებით დამტკიცებულ, დანართში მითითებულ ქონებაზე საწყისი საპრივატიზებო საფასური შემცირდეს 20%-მდე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე                    ზაატა გიორგობიანი

*დანართი*

**თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე 20%-მდე შემცირებული საწყისი საპრივატიზებო საფასური**

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვანთაში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 140 კვ.მ შენობა - ნაგებობა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 1760 ლარი (ს/კოდი №53.01.47.020, საბავშვო ბაღის საქვაბე, პირველი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 8800 ლარი);

2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 42 კვ.მ შენობა - ნაგებობა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 1000 ლარი (ს/კოდი №53.05.38.016, საბავშვო ბაღის საქვაბე, პირველი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 5000 ლარი);

3. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 26,8 კვ.მ შენობა - ნაგებობა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 376 ლარი (ს/კოდი №53.07.43.034, საბავშვო ბაღის საქვაბე, პირველი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 1876 ლარი);

4. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 65,3 კვ.მ შენობა - ნაგებობა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 900 ლარი (ს/კოდი №53.09.37.030, კულტსახლის საქვაბე, პირველი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 4500 ლარი);

5. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 47 კვ.მ შენობა - ნაგებობა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 600 ლარი (ს/კოდი №53.12.36.026, საბავშვო ბაღის საქვაბე, პირველი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 3000 ლარი);

6. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 41,4 კვ.მ შენობა - ნაგებობა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 520 ლარი (ს/კოდი №53.12.36.026, დამხმარე შენობა - ნაგებობა, პირველი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 2600 ლარი).

საკრებულოს თავმჯდომარე ზაატა გიორგობიანი